შპს კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
Diplomacy and International Relations (delivered in English)	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
ბაკალავრიატი	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
აკადემიური	
სწავლების ენა	
ინგლისური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	0312 საერთაშორისო ურთიერთობები
ინგლისურად:	0312 International Relations
საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	
დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის #01/01-82 (05.12.2020) ბრძანებით. განახლებულია N01/01-89 (27.12.2021) და N0101-16 (14.04.2022) ბრძანებით	
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი, **ეკა აკობია** საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, მოწვეული პროფესორი **სერგი კაპანაძე**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. დამატებით შესაძლებელია, ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

მოცემული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 240 ECTS კრედიტის შესაძლო განაწილების სქემა:

თავისუფალი კომპონენტი - 55 კრედიტი

ზოგადსაუნივერსიტეტო და ძირითადი სპეციალობის დამხმარე კურსები (სავალდებულო) – 15 კრედიტი

ინგლისური/ქართული ენა (სავალდებულო) – 20 კრედიტი
მეორე უცხო ენა (სავალდებულო) - 20 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 185 კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 130 კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები - 55 კრედიტი

სტუდენტს საშუალება ეძლევა 55 კრედიტი აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებიდან და/ან არაუმეტეს ***20 თავისუფალი კრედიტი*** კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით. თავისუფალი კრედიტები სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას ყოველგვარი ფორმალური გამაერთიანებელი სქემის გარეშე.
დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა კომპონენტების სინთეზის საფუძველზე.
უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტებს სრულ წარმოდგენას უქმნის როგორც ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობების, ისე დარგის ცალკეული მიმართულებების შესახებ. პროგრამა ასევე მოიცავს დამხმარე ცოდნის (ზოგადინტელექტუალური, კომუნიკაციური კომპეტენციები) განმსაზღვრელ სასწავლო კომპონენტებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ბაკალავრს უყალიბდება ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც შემდგომში მას შრომით ბაზართან ადაპტაციის და პროფესიული ორიენტაციის საშუალებას მისცემს.
პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და მათი ევოლუცია განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.

<u>**საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების**</u> კომპონენტი ორიენტირებულია წერითი და ვერბალური კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე.

<u>**უცხოური ენების კომპონენტი**</u> ორიენტირებულია ინგლისური ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო ენის (C1 დონე), და მეორე ენის, როგორც დამხმარე ენის, სწავლების უზრუნველყოფაზე და აღნიშნულის მეშვეობით უცხოურ ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე, უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ინტეგრაციაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე. მეორე უცხოურ ენად სტუდენტი შეისწავლის ესპანური/იტალიური/თურქული/ფარსი (20 ECTS). მეორე უცხო ენაში B1 და მეტი დონის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მეორე უცხო ენის სწავლების 20 კრედიტის ნაცვლად აირჩიოს საგნები პროფესიული არჩევითი საგნებიდან.
იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი, დოკუმენტურად დაადასტურებს პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის დონეს (C1 დონე), იგი თავისუფლდება ინგლისური ენის გავლის ვალდებულებისგან და ამ კრედიტების ფარგლებში შეისწავლის ქართულ ენას. თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი ამავდროულად ფლობს ქართულ ენასაც, მაშინ იგი უფლებამოსილია აღნიშნული კრედიტების ფარგლებში შეისწავლოს სხვა უცხო ენა ან აითვისოს ისინი არჩევითი კრედიტების პრინციპით.

<u>**ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების**</u> კომპონენტი ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე.

<u>**ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების**</u> კომპონენტი სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს

სპეციალობის ცოდნა მისი ინტერესის შესაბამისად და აირჩიოს მისთვის სასურველი საგნები. არჩევითი მოდულებიდან სტუდენტი გადის საგნებს ისე, რომ სემესტრში დააგროვოს 30 კრედიტი. არჩევითი დისციპლინები სტუდენტებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ საბაკალავრო პროგრამის ძირითადი საგნების ფარგლებში მიღებული ცოდნა. სპეციალობის არჩევითი საგნები იძლევა ცოდნას იმ სფეროებში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის საქმიანობასთან.
იმისათვის, რომ სტუდენტი დარეგისტრირდეს საბაკალავრო ნაშრომშზე, მას გავლილი უნდა ჰქონდეს 210 კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულება დადგენილ ვადაში.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება	
საბაკალავრო პროგრამის მიზანი	დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც: ✓ აღწერს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად პრინციპებს, თეორიებს, პროცესებს და პრაქტიკას. ✓ აანალიზებს სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების როლსა და ადგილს საერთაშორისო პოლიტიკაში, იდენტიფიცირებას უკეთებს მათ პოლიტიკურ დღისწესრიგს, ინტერესებს და ურთიერთობების სპეციფიკას საერთაშორისო ურთიერთობებსა და მომიჯნავე დისციპლინებზე დაყრდნობით. ✓ იყენებს დარგისთვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებს და ახდენს პროფესიული ცოდნის წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, მათ შორის, უცხო ენაზე. ✓ განსაზღვრავს შესაბამის ნაბიჯებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად. კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან და განვითარების გეგმასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** **ს. შ. 1:** აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესწავლის საგანს, საკვანძო კონცეფციებსა და თეორიებს. **ს. შ. 2:** აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებსა და ფაქტებს. **ს. შ. 3:** აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულ სახელმწიფო, არასახელმწიფო, სახელმწიფოთაშორის და ტრანსნაციონალურ აქტორებს, მათ ბუნებასა და დღისწესრიგს. **ს. შ. 4:** მსჯელობს საერთაშორისო ურთიერთობებში პროცესებსა და სამთავრობო და არასამთავრობო აქტორთა ქცევებზე საერთაშორისო ურთიერთობებისა და მომიჯნავე დისციპლინების ჭრილში. **უნარი** **ს. შ. 5:** კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით, პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით აგროვებს და ამუშავებს ინფორმაციას, და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნა. **ს. შ. 6:** ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციას, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმით, მათ შორის უცხო ენაზე. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** **ს. შ. 7:** გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ სამუშაო პროცესს, განსაზღვრავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საჭიროებებს. ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო საკმარის თეორიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს საჯარო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში და დიპლომატიურ სამსახურში.

სწავლის გაგრძელების საშუალება	პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისთვის სფეროს ფართო ცოდნის მინიჭებაზე, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; ამასთანავე, შესაბამისი დრო ეთმობა სტუდენტში თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში. ლექციებზე და ნებისმიერი ტიპის სემინარებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ადგილისა და როლის განხილვას საერთაშორისო თანამეგობრობის კონტექსტში.

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (**Case study**) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, შემთხვევის გარჩევა და ა.შ) გამოკითხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

- 4 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 39 მოწვეული ლექტორი.

საბაკალავრო პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლასგაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა დაუცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

კურიკულუმი	☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის
სილაბუსები	☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
ზოგადსაუნივერსიტეტო და ძირითადი სპეციალობის დამხმარე კურსები (სავალდებულო)												15
1.	CIS 1151	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5								
2.	HIST 0003	არ აქვს	საქართველოს ისტორია		5							
3.	AW 1250	არ აქვს	აკადემიური წერა		5							
			ინგლისური/ქართული ენის კურსები (სავალდებულო)	5	5	5	5					20
4.	ENGF 1 GEO 0001	None	B2 + ზოგადი ინგლისური ენის უნარები 1 / ქართული ენა A1	5								
5.	ENGF 2 GEO 0002	ENGF 1 GEO 0001	B2 + ზოგადი ინგლისური ენის უნარები 2 / ქართული ენა A2		5							
6.	ENGL 0009 GEO 0003	ENGF 2 GEO 0002	C1.0 ზოგადი ინგლისური / ქართული ენა B1.1			5						
7.	ENG 0010 GEO 0004	ENGL 0009 GEO 0003	C1 ზოგადი ინგლისური / ქართული ენა B1.2				5					
			მეორე უცხო ენა (სავალდებულო)					5	5	5	5	20
8.	ESP 0001; TURK 0001; ITA 0001; FARS 0001.	არ აქვს	უცხო ენა, I ნაწ. (A1.0)					5				
9.	ESP 0002;	უცხო ენა, I ნაწ	უცხო ენა, II ნაწ. (A1.0)						5			

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
	TURK 0002; ITA 0002; FARS 0002.	A1.0										
10.	ESP 0003; TURK 0003; ITA 0003; FARS 0003.	უცხო ენა, II ნაწ A1	უცხო ენა,III ნაწ. (A2.0)							5		
11.	ESP 0004; TURK 0004; ITA 0004; FARS 0004.	უცხო ენა, III ნაწ A2.0	უცხო ენა, IV ნაწ. (A2)								5	
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები				**20**	**15**	**25**	**25**	**10**	**15**	**10**	**10**	**130**
12.	SOCP 1150	არ აქვს	სოციალური ფსიქოლოგია	5								
13.	DEC 1150	არ აქვს	დემოკრატია და მოქალაქეობა	5								
14.	CIVI 1150	არ აქვს	კულტურა და ცივილიზაცია	5								
15.	PHIL 1150	არ აქვს	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	5								
16.	DIP 1250	არ აქვს	დიპლომატიის ისტორია XVII-XIX საუკუნეებში		5							
17.	POLS 1250	არ აქვს	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში		5							
18.	STAT 1250	არ აქვს	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები		5							
19.	IR 2150	არ აქვს	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში			5						
20.	PA 2150	არ აქვს	შესავალი სახელმწიფო მართვაში			5						
21.	CFP 0050	არ აქვს	შედარებითი საგარეო პოლიტიკა			5						
22.	QQDA 2151	არ აქვს	კვლევის მეთოდები			5						
23.	ECON 2150	არ აქვს	შესავალი ეკონომიკაში			5						
24.	COMP 2250	არ აქვს	შესავალი შედარებით პოლიტიკაში				5					

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
25.	HRD 2250	არ აქვს	ადამიანის უფლებები და დემოკრატია				5					
26.	IE 2250	ECON 2150	შესავალი საერთაშორისო ეკონომიკაში				5					
27.	LAW 2251	არ აქვს	შესავალი საერთაშორისო სამართალში				5					
28.	DIP 2250	არ აქვს	დიპლომატიის ისტორია XX-XXI საუკუნეები				5					
29.	INTS 3150	IR 2150	საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლები					5				
30.	ENGP 0150	ENGL 0010	PT1 პროფესიული სამიზნე ენა					5				
31.	PIE 0050	არ აქვს	ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა						5			
32.	GFDP 3250	არ აქვს	საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა						5			
33.	IRT 3250	IR 2150	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია						5			
34.	USFP 4150	არ აქვს	ამერიკის საგარეო პოლიტიკა							5		
35.	PCPD 4150	არ აქვს	პოლიტიკური კომუნიკაცია და საჯარო დიპლომატია							5		
36.	BTH 4250	არ აქვს	საბაკალავრო ნაშრომი								10	
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები /თავისუფალი კრედიტები								**15**	**10**	**15**	**15**	**55**
37.	IT 0050	არ აქვს	საერთაშორისო ტერორიზმი					5				
38.	HEI 0050	არ აქვს	ევროპის ინტეგრაციის ისტორია					5				
39.	LAPS 0050	არ აქვს	ლათინური ამერიკის პოლიტიკური სისტემები					5				
40.	WET 0050	არ აქვს	ომის ეთიკა-მისი უპირატესობები და შეზღუდვები					5				
41.	POLS 0050	POLS 1250	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები					5				
42.	FREE 0001	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი					5				
43.	IO 0051	არ აქვს	საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა						5			
44.	MEAS 0050	არ აქვს	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა						5			
45.	IPS 0050	არ აქვს	შესავალი მშვიდობის კვლევებში						5			

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
46.	FREE 0002	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი						5			
47.	LDR 3250	არ აქვს	ლიდერობა და ეთიკა მთავრობაში						5			
48.	SOCI 0051	არ აქვს	სოციოლოგია						5			
49.	DA 0050	არ აქვს	მონაცემთა ანალიზი						5			
50.	PR 0050	არ აქვს	საზოგადოებასთან ურთიერთობა						5			
51.	IHRL 0050	არ აქვს	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი						5			
52.	DIPL 0050	არ აქვს	დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი							5		
53.	NIR 0050	არ აქვს	ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები							5		
54.	GEOP 0050	არ აქვს	საზოგადოებრივი გეოგრაფია							5		
55.	RUFP 0050	არ აქვს	რუსეთის საგარეო პოლიტიკა							5		
56.	CHFP 0050	არ აქვს	ჩინეთის საგარეო პოლიტიკა							5		
57.	IPE 0050	ECON 2150	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები							5		
58.	EUGA 0050	არ აქვს	ევროპული ინტეგრაცია ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების კონტექსტში							5		
59.	STST 4150	არ აქვს	სტრატეგიული სწავლებები							5		
60.	FREE 0003	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი							5		
61.	HSCS 0050	არ აქვს	ჰიბრიდული ომი, სტრატეგიული კომუნიკაცია და კიბერუსაფრთხოება								5	
62.	UNPK 0050	არ აქვს	გაეროს სამშვიდობო ოპერაციები								5	
63.	WE 0050	ECON 2150	მსოფლიო ეკონომიკა								5	
64.	CMN 0050	არ აქვს	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები								5	

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
65.	ES 0050	არ აქვს	ენერგეტიკული უსაფრთხოება								5	
66.	PCA 0050	არ აქვს	აფრიკის ქვეყნების პოლიტიკა და კონფლიქტები								5	
67.	USGS 0050	არ აქვს	აშშ-ს გრანდ სტრატეგია								5	
68.	FREE 0004	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი								5	
69.	ICL 0050	არ აქვს	საერთშორისო სისხლის სამართალი								5	
70.	MGS 0050	არ აქვს	პროექტის მართვა								5	
71.	GEOP 0050	არ აქვს	სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა								5	
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	
			წელიწადში	60		60		60		60		240